

**EVERY
CASUALTY
COUNTS**



სტანდარტები ზარალის
ადწერისთვის: შეჯამება

სარჩევი

სტანდარტები ზარალის აღწერისთვის: შეჯამება	2
ზარალის აღწერის პრინციპები	3
1. არ დააზიანოთ	3
2. გამჭვირვალობა	3
3. ინკლუზიურობა	3
4. თანმიმდევრულობა	3
5. პასუხისმგებლობა	4
მონაცემების შეგროვების ფუნდამენტური მიზნები ზარალის აღმწერლებისთვის	5
სტანდარტები ზარალის აღწერისთვის	7
1. ორგანიზაციული გამჭვირვალობა	7
2. მეთოდოლოგია	7
3. განმარტებები და კატეგორიზაცია	8
4. უსაფრთხოება	8
5. ზარალის აღწერის მონაცემების გამოქვეყნება	9

სტანდარტები ზარალის აღწერისთვის: შეჯამება

ეს დოკუმენტი არის ზარალის აღწერის სტანდარტების მოკლე, მარტივი და ხელმისაწვდომი შეჯამება. სრული დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.everycasualty.org.

სტანდარტები ზარალის აღწერისთვის შემუშავდა Casualty Recorders Network of Every Casualty Counts-ის მიერ, რომ ხელი შეუწყობს, წავახალისოს შეთანხმება და შესაძლებელი გავხადოს ზარალის აღმწერლების ნაშრომების უფრო ფართო გამოყენება. ისინი არ არის განკუთვნილი ოპერატიული ხელმძღვანელობისთვის. ამის ნაცვლად, სტანდარტები მიზნად ისახავს, წავახალისოს აღმწერლები, გაითვალისწინონ კარგი პრაქტიკის მნიშვნელოვანი ასპექტები და მათი გამოყენების მეთოდების გამოყენება ზარალის აღწერის თავიანთ პროექტებში.

ზარალის აღწერის სპეციალისტების დახმარებასთან ერთად, ეს სტანდარტები მიზნად ისახავს, გავამარტივოს ზარალის მონაცემების გამოყენება და გაზიარება. ისინი უზრუნველყოფენ ზარალის მონაცემების საბოლოო მომხმარებლებს ობიექტური, გაზომვადი კრიტერიუმებით, რომლებიც დაეხმარება მათ, გადაწყვიტონ, გამოიყენონ თუ არა და როგორ გამოიყენონ სხვადასხვა წყაროში მოცემული ზარალის მონაცემები.

სტანდარტების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების არეალის გაფართოების მიზნით ეს შეჯამება ითარგმნა სხვადასხვა ყველაზე შესაფერის ენაზე, არსებული და პოტენციური ზარალის აღმწერლებისთვის. დამატებითი ინფორმაციისა და რესურსებისთვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ Every Casualty.

ზარალის აღწერის პრინციპები

სტანდარტების შემუშავებისას 5 მთავარი პრინციპი შეთანხმდა. ყველა აქ წარმოდგენილი სტანდარტი დაფუძნებულია ამ პრინციპებზე და ისინი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი პროექტის მუშაობის პროცესში.

1. არ დააზიანოთ

გადარჩენილის დამატებით დაზიანების თავიდან არიდება ზარალის აღწერის ფუნდამენტური და სამედიცინო ეთიკიდან მომდინარე პრინციპია, რომელსაც შეუძლია გადაწონოს სხვა ოთხი პრინციპი. ის გამოიყენება ზარალის აღწერის ყველა ასპექტში, მონაცემების შეგროვებით დაწყებული, უსაფრთხოების წესებითა და მონაცემების გამოქვეყნებით დამთავრებული.

2. გამჭვირვალობა

ზარალის აღმწერლები რაც შეიძლება გამჭვირვალენი უნდა იყვნენ საკუთარი საქმიანობის ყველა ასპექტში, მათ შორის, ორგანიზაციულ სტრუქტურაში, მეთოდოლოგიაში და უსაფრთხოების წესებში მომსახურე პერსონალისთვის, თვითმხილველებისა და მონაცემებისთვის. გამჭვირვალობა აღრმავებს მონაცემების მიმართ ნდობას, უზრუნველყოფს ზუსტ ინტერპრეტაციას და ახალისებს სასარგებლო გამოკვლევას.

3. ინკლუზიურობა

ზარალის აღმწერლებს არ ევალებათ, იყვნენ პოლიტიკურად ნეიტრალურები, მაგრამ მათ უნდა მოიცვან ყველა უბედური შემთხვევა, რომელმაც თავი იჩინა ამ პროექტის ფარგლებში და გამოიყენონ განსაზღვრებები, რომლებიც თანაბრად ეხება ყველა მხარეს. ზარალის აღმწერლებმა გარკვევით უნდა განაცხადონ, თუ რა მონაცემებს გამორიცხავენ თავიანთი აღწერიდან და რატომ (ასეთი მონაცემების არსებობის შემთხვევაში). მაგალითისთვის, ეს შეიძლება გულისხმობდეს ინფორმაციის შეგროვების სირთულეს იმ საზოგადოებებისგან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ზარალის აღმწერლის პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ კუთვნილებას.

4. თანმიმდევრულობა

თანმიმდევრულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემების შეგროვების მეთოდებში და მათ გადამუშავებაში, რათა შესაძლებელი იყოს ზარალის აღწერების გამოყენება არსებითი შედარებებისთვის დროის მონაკვეთებსა და ადგილებს შორის. როცა მეთოდები იცვლება გარემო პირობების საპასუხოდ, ისინი ფრთხილად უნდა

გავითვალისწინოთ და გარკვევით აღვნიშნოთ, რომ უზრუნველვყოთ თანმიმდევრული მონაცემების ხარისხი.

5. პასუხისმგებლობა

ზარალის აღმწერლები პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ყველას, ვისაც მათი საქმიანობა შეეხო ან ჩართული იყო მასში, წყაროებისა და პერსონალის ჩათვლით. პასუხისმგებლობის განხორციელებაზე შესაძლებელი უნდა იყოს გამჭვირვალედ დაკვირვება, რომ მოვიპოვოთ მათი ნდობა, ვინც გვაწვდის ან იყენებს ინფორმაციას.

მონაცემების შეგროვების ფუნდამენტური მიზნები ზარალის აღმწერლებისთვის

ზარალის აღმწერლები აწესებენ საკუთარი ინფორმაციის შეგროვების მოთხოვნებს პროექტის კონკრეტული მიზნების შესაბამისად. თუმცა არის ფუნდამენტური ინფორმაციის მინიმალური პაკეტი, რომელიც ყველა ზარალის აღმწერელმა უნდა ეცადოს, მოიცვას. ესენია:

მონაცემთა შეგროვების ფუნდამენტური მიზნები	
მდებარეობა	ჩაწერეთ დეტალები, მაგალითად ქალაქის ან სოფლის სახელი ან თუნდაც სრული GPS კოორდინატები, თუ ეს შესაძლებელია.
თარიღი/დრო	ჩაწერეთ დეტალები, თარიღისა და დროის ჩათვლით, თუ ეს ცნობილია.
წყაროები	ჩაწერეთ წყაროს კატეგორიები, როგორცაა ახალი ამბები, ოფიციალური დოკუმენტები, ქრუდსორსინგი ან მოწმეების ჩვენებები. წყაროები უნდა იყოს დაცული და წარმოდგენილი ბმულით დაზარალებულთა ჩანაწერების შესახებ. სენსიტიური წყაროები, როგორცაა მოწმის ჩვენება, უნდა იყოს დაცული.
დაზარალებულთა რაოდენობა	როდესაც კონკრეტული ინციდენტის დროს დაღუპულ პირთა შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, აღრიცხეთ მსხვერპლთა რაოდენობა, როგორც დროებითი საზომი, სანამ დამატებითი დეტალების მიღება შესაძლებელია.
სახელი	ჩაწერეთ თითოეული დაზარალებულის სახელი, სახელების შესახებ ადგილობრივი შეთანხმების ზედმიწევნით ცოდნით. დარწმუნდით, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ერთი და იმავე ადამიანისთვის სხვადასხვა სახელების გამოყენება (მაგალითად, მეტსახელები ან ფსევდონიმები).
წლოვანება	ჩაწერეთ თითოეული დაზარალებულის დაბადების თარიღი, ან ასაკი მათი გარდაცვალების ან გაუჩინარების დროს. თუ ეს ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, მიუთითეთ დაზარალებული ბავშვი იყო თუ ზრდასრული, გამჭვირვალე და თანმიმდევრული კრიტერიუმების გამოყენებით. თუ გამოყენებულია დამატებითი კატეგორიები, როგორცაა ბავშვი, ჩვილი, თინეიჯერი ან ხანდაზმული, ისინი უნდა იქნას გამოყენებული მუდმივად.

სქესი	შეძლებისდაგვარად ჩაწერეთ თითოეული ადამიანის სქესი.
გარდაცვალების დეტალები	ამ ინფორმაციის ორგანიზება შესაძლებელია სხვადასხვაგვარად, მაგალითად, იარაღის, გარდაცვალების სამედიცინო მიზეზის ან ინციდენტის აღწერილობის მიხედვით.
მონაწილე წევრები	ჩაწერეთ ინციდენტში მონაწილე ჯგუფები და/ან პირები, დამსწრე კონფლიქტის მხარეებისა და ჯგუფების ან პირების ჩათვლით, რომლებმაც აიღეს პასუხისმგებლობა.

სტანდარტები ზარალის აღწერისთვის

1. ორგანიზაციული გამჭვირვალობა

ზარალის აღმწერლებმა ყოველთვის უნდა:

- დაიცვან გამჭვირვალობა მათი მისიისა და აღწერის მოტივების შესახებ.
- გახადონ ინფორმაცია მათი მეთოდოლოგიის შესახებ გამჭვირვალე და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

ზარალის აღმწერლები უნდა შეეცადონ:

- წარადგინონ ინფორმაცია პოლიტიკური ან სხვა კავშირის შესახებ, რამაც შეიძლება მოახდინოს ინკლუზიურ ჩაწერებზე მათი პასუხისმგებლობის კომპრომეტირება.
- გახადონ გამჭვირვალე მათი ორგანიზაციის ორგანიზაციული სტრუქტურა და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
- გახადონ გამჭვირვალე და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი დამფინანსებელთა შესახებ ინფორმაცია.

2. მეთოდოლოგია

ზარალის აღმწერლებმა ყოველთვის უნდა:

- იქონიონ მკაფიო საშუალებები როგორც დოკუმენტური მტკიცებულებების, ისე მოწმეების განცხადებების დასამუშავებლად.
- იქონიონ შემუშავებული თანმიმდევრული და კარგად ორგანიზებული სისტემა ინფორმაციის დამუშავებისთვის, თუმცა ამავდროულად ტოვებდნენ ადამიანური განსჯისა და მოქნილობის შესაძლებლობას.
- სისტემატურად აღრიცხონ ინფორმაციის მითითებული ნაწილები.
- იქონიონ შემუშავებული პროცედურა შეგროვებული მონაცემების დასადასტურებლად და შესაფასებლად.
- იქონიონ შემუშავებული სისტემა წყაროებს შორის არსებული უთანხმოების გადასაჭრელად.
- იქონიონ მეთოდები განმეორებული ჩანაწერის თავიდან ასაცილებლად ან არსებობის შემთხვევაში მათ გადასაჭრელად.

ზარალის აღმწერლები უნდა შეეცადონ:

- შეძლებისდაგვარად გამოიყენონ რამდენიმე დამოუკიდებელი წყარო თითოეული ჩანაწერისთვის.
- იყვნენ ინფორმირებული მათთვის ხელმისაწვდომი ყველა შესაძლო წყაროს, მათი ძლიერი მხარეებისა და შეზღუდვების შესახებ.
- გაითვალისწინონ სარეიტინგო სკალის გამოყენება წყაროს საიმედოობის შესაფასებლად და იყვნენ ღია მიმოხილვისთვის.

- არ უარყონ წყარო, რომელმაც შეიძლება მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, მაშინაც კი, თუ მოცემული ინფორმაცია მინიმალურია.
- შეინახონ ყველა შესაბამისი დოკუმენტი.
- მიზნად დაისახონ მათი მონაცემების განმტკიცება მრავალი დამოუკიდებელი წყაროთი.
- შექმნან პროცედურები, რათა უზრუნველყონ მონაცემთა შეყვანის თანმიმდევრულობა.
- ჰქონდეთ ყველა შეყვანილი მონაცემი ღია შესწორებისა და ახალი ინფორმაციის დამატებისთვის.
- დაყონ ზარალის აღრიცხვის პროცესი ადამიანებს შორის სამუშაოს გამარტივებისა და ადამიანური შეცდომების შემცირების მიზნით.
- გაითვალისწინონ, რომ თანამშრომლებმა უნდა გადახედონ ერთმანეთის ჩანაწერებს, სანამ დაადასტურებენ ინციდენტს/ინდივიდს.

3. განმარტებები და კატეგორიზაცია

ზარალის აღმწერლებმა ყოველთვის უნდა:

- დააწესონ შეშვება არშეშვების კრიტერიუმები, რომლებიც მკაფიოდ არის განმარტებული.
- აირჩიონ მნიშვნელობები და კატეგორიები კონტექსტისა და მიზნების შესაბამისად.
- დაადგინონ ინფორმაციის საკითხების საწყისი ნაკრები, კატეგორიები და განმარტებები, სანამ დაიწყებენ ზარალის აღწერის ინიციატივას და თანმიმდევრულად გამოიყენონ ისინი აღწერის პროცესში.

ზარალის აღმწერლები უნდა შეეცადონ:

- ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაახასიათონ ინფორმაცია, როგორც „გაურკვეველი“ ან „სავარაუდო“, შესაბამის შემთხვევაში.
- განიხილონ საკითხის კატეგორიები მონაცემთა ბაზის შექმნისას.
- აღწერონ დაუდგენელი პირების გარდაცვალება შეძლებისდაგვარად დეტალურად.
- განიხილონ და შეადგინონ ინფორმაცია დაკარგულ პირთა შესახებ, რათა ადვილად შეძლონ გარკვევა, თუ რა ბედი ეწიათ ამოუცნობ დაშავებულებს.

4. უსაფრთხოება

ზარალის აღმწერლებმა ყოველთვის უნდა:

- იცოდნენ, რომ რისკები შეიძლება შეიცვალოს და ამოიციონ განსაკუთრებული რისკები, რომლებიც ახლავს ზარალის აღწერის ციკლის თითოეულ ფაზას.
- მოიპოვონ სანდო ინფორმაცია მოწმეებისგან, რომელიც გამოსაყენებელი იქნება ყველა მიზნისთვის.

- მკაფიოდ განსაზღვრონ ურთიერთობა პერსონალის ყველა წევრთან როგორც წერილობითი, ისე ზეპირი კონტრაქტის საფუძველზე და, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვონ კონფიდენციალურობა და ექსკლუზიურობა.
- დარწმუნდნენ და უზრუნველყონ, რომ ყველა თანამშრომელმა იცის, ესმის და თანახმაა, იქონიოს წვდომა უსაფრთხოების ზომებზე, რომლებიც მიიღება მათი დაცვის მიზნით.
- შეიმუშაონ და უზრუნველყონ უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, ტრენინგი საჭიროებისამებრ.
- უზრუნველყონ ფსიქოლოგიურ დახმარებაზე წვდომის გარანტია თავიანთი პერსონალისთვის.
- იქონიონ მონაცემთა შენახვის გეგმა, სანამ დაიწყებდნენ ინფორმაციის შეგროვებას, მათ შორის, სარეზერვო უზრუნველყოფა.
- გაითვალისწინონ იურიდიული, ტექნიკური თუ ადამიანური ფაქტორები, როდესაც საქმე ეხება მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებს, მათ შორის, მონაცემთა დაცვის კანონები.
- მკაფიოდ განსაზღვრონ უსაფრთხოების მოთხოვნები დაინტერესებულ მხარეებთან მონაცემების გაზიარებისას.
- იქონიონ გეგმა მონაცემთა გაქონვის შესაძლებლობის შემთხვევისთვის.
- საფუძვლიანად შეაფასონ, შეესაბამება თუ არა მათ მიერ გამოყენებული ხელსაწყოები მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნებს.

ზარალის აღმწერლები უნდა შეეცადონ:

- განუწყვეტლივ შეაფასონ რისკი, რათა უზრუნველყონ იმ ხალხის უსაფრთხოება, რომელიც ჩართული ჰყავთ ზარალის აღწერის საქმიანობაში.
- განსაზღვრონ, რა რისკს შეიცავს მონაცემთა ტიპი, რომელსაც აგროვებენ.
- შეაგროვონ მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც სჭირდებათ და რომლის სათანადოდ დაცვაც შეუძლიათ.
- იცნობდნენ ჰუმანიტარული დახმარებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის წარმომადგენლებს იმ რეგიონში, სადაც მუშაობენ, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შეძლონ მათთან თვითმხილველების გადამისამართება დახმარებისთვის.
- უზრუნველყონ სენსიტიურ ინფორმაციაზე წვდომის სხვადასხვა დონეები ორგანიზაციის ფარგლებში, ცოდნის საჭიროების საფუძველზე.
- დაგეგმონ, თუ როგორ დააარქივებენ მონაცემებს პროექტის დასრულების შემდეგ.

5. ზარალის აღწერის მონაცემების გამოქვეყნება

ზარალის აღმწერლებმა ყოველთვის უნდა:

- გაგზავნონ სიგნალი თუ/როდესაც გამოქვეყნებული ინფორმაცია არასაკმარისად საფუძვლიანია, რათა მიჩნეულ იქნას სრულად დადასტურებულად.

ზარალის აღმწერლები უნდა შეეცადონ:

- განიხილონ ყველა საშუალება, თუ რა მხრივ და ვისთვის შეიძლება იყოს სასარგებლო მათი მონაცემები, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებებს, რა გამოაქვეყნონ.
- განსაზღვრონ მიზეზები, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას, არ გამოაქვეყნონ კონკრეტული მონაცემები.
- შეაგროვონ გამოქვეყნებული მონაცემები პროექტის მიზნების შესაბამისად, მაგრამ ყოველთვის გაითვალისწინონ საბოლოო მიზანი, რომელიც თითოეული დაზარალებულის ამოცნობაში მდგომარეობს.
- შეაფასონ და ამოიციონ მათი მონაცემების კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური მეთოდები.
- ყოველთვის შეეცადონ, გამოაქვეყნონ თავიანთი მონაცემები იმ რეგიონის ადგილობრივ ენაზე(ენებზე), სადაც მათი საქმიანობა მიმდინარეობს.
- ეცადონ, ჩაატარონ აქტივობები ხალხისთვის ხმის მისაწვდენად, რათა თავიანთი მონაცემებით დააინტერესონ მნიშვნელოვანი სამიზნე აუდიტორიები.
- ძალისხმევა არ დაზოგონ, რათა რაც შეიძლება ფართოდ გავრცელონ თავიანთი მონაცემები სამუშაოს დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, თუმცა განსაზღვრონ დეტალურობის დონე, რომელსაც თითოეული საქმისთვის უზრუნველყოფენ.